ერთი გოლი ბევრი შესაძლებლიდან

მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 6 აგვისტო.

“ტორპედო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (0:0).

“ტორპედო”: ელიზაროვი, კრუგლოვი, პახომოვი, ბუტურლაკინი, ბელოუსოვი, მაქსიმენკოვი, ფილატოვი (პეტრენკო), ხრაბროსტინი, იურინი, სახაროვი, გრიშინი.

“დინამო”: გოგია, მუჯირი, ჭელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, ასათიანი (წერეთელი), გუცაევი, ყიფიანი.

მსაჯი: მ. ჩერდანცევი (ალმა–ათა).

გაფრთხილებულია ვ. გუცაევი.

დუბლიორები – 2:2.

ამ ორი გუნდის წარმატებები ბოლო ხანებში ყველასთვის ცნობილია. ტორპედოელებმაც და დინამოელებმაც საკმაო რაოდენობით აიღეს ქულები და მეორე წრის სტარტზე საუკეთესო პერსპექტივები შეიქმნეს. ამდენად მათი შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევდა.

თამაში, მართლაც დაძაბულ, საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა. მისი სიმწვავე განსაკუთრებით იმით გამოიხატებოდა, რომ ორივე კართან ბურთის გატანის უამრავი შესაძლებლობა შეიქმნა. იშვიათად გვინახავს ბოლო ხანებში უმაღლესი ლიგის მატჩები, სადაც ამდენი საგოლე მომენტი იყო, მათგან კი გამოყენებული აღმოჩნდა მხოლოდ მინიმუმი – ერთი. ძნელი ჩამოსათვლელია ის კრიტიკული სიტუაციები, რომლებიც ორივე გუნდის კართან შეიქმნა. ძნელი ასაწერია ისიც, თუ როგორ ვერ ახერხებდნენ ცნობილი ოსტატები – თავდამსხმელებიც და ნახევარმცველებიც – ამ შესაძლებლობათა გამოყენებას. გასაოცრად უზუსტოდ ურტყამდნენ კარში გრიშინი და ყიფიანი, ხრაბროსტინი და გუცაევი, მაქსიმენკოვი და მ. მაჩაიძე, იურინი და ასათიანი… საკადრისი უნდა მივუზღოთ გოგიასა და ელიზაროვს, მაგრამ, როცა მინდვრის მოთამაშე პირისპირ გადის მეკარესთან, ჩვეულებრივ, ამ უკანასკნელს ძალიან მცირე შანსი აქვს მდგომარეობის ხსნისა, მოხდა კი პირიქით.

ამ მატჩში თბილისელთა წარუმატებლობა, ჩემი აზრით, უნდა აიხსნას მათი დაცვის, უფრო სწორად, ცენტრალური მცველების ხშირი შეცდომებით და შეუთანხმებლობით, რაც მასპინძლებს საშუალებას აძლევდა შეტევის აქცენტი სწორედ ამ ზონაზე გადაეტანა.

პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა, თუმცა როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს ეს არაერთხელ შეეძლო გაეკეთებინა. შესვენების შემდეგ “ტორპედო” უფრო კოლექტიურად და კომუნიკაციურად მოქმედებდა, სწრაფად გადიოდა შუა მინდორს გრძელი გადაცემებით, მეტი ძალებით უტევდა მეტოქეს. გოლი გავიდა 71–ე წუთზე. დინამოელთა მხარეს დაინიშნა საჯარიმო, სახაროვმა ბურთი გაუგორა იურინს, მან დაბალ მარცხენა კუთხეში დაარტყა და გოგიამ დროზე ვერ მოასწრო რეაგირება.

დარჩენილ 19 წუთში თბილისელებს ბევრის გაკეთება შეეძლოთ. მაგრამ ვერ გამოიჩინეს საკმარისი ნებისყოფა და აგრესიულობა, ვერ შეიტანეს გარდატეხა თამაშში და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

ვ. პავლოვი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).

“ლელო”, 9 აგვისტო, 1975 წ.